საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №75
2020 წლის 17 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) პირველი მუხლის პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. „გ“–„ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„გ) სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ (ლაჯანურჰესი) – 2.768 თეთრი/კვტსთ;

დ) სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ (გუმათჰესების კასკადი) – 2.494 თეთრი/კვტსთ;

ე) სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ (ძევრულჰესი) – 4.653 თეთრი/კვტსთ;“.

2. „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„ვ) სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“ (რიონჰესი) – 1.436 თეთრი/კვტსთ;“.

3. „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 1 იანვრამდე.

3. ამ დადგენილების პირველი მუხლის მეორე პუნქტის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 1 მაისამდე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	გოჩა შონია
კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე